



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი
MAYOR OF BATUMI MUNICIPALITY

N 25/21953
07/12/2018

21953-25-2-201812071805



საქართველოს პარლამენტის აპარატს

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ ანგარიშს, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის გაწეული მუშაობის შესახებ, 2018 წლის 07 დეკემბრის მდგომარეობით:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე ხელმძღვანელობს რა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნებით, გარკვეულ მუშაობას ატარებს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. დადგენილია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის საჯარო ინფორმაციისა და არქივის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი. დამტკიცებულია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის სამსახურებრივი ინსტრუქცია, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ გვერდზე (www.batumi.ge) და საინფორმაციო დაფაზე განთავსებულია პასუხისმგებელი პირის ვინაობა და საკონტაქტო ტელეფონი, სამსახურებრივი ინსტრუქცია და საქართველოს კანონი „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“.

2018 წლის 07 დეკემბრის მდგომარეობით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია 949 მომართვა საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით. ამთაგან, 944-ზე (5 დამუშავების პროცესშია) გაცემულია საჯარო ინფორმაციები, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დაცვით. გაცემული საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღებისათვის მოსაკრებელი თანხა შეადგენს 2603,05 ლარს.

ადგილი არ ჰქონია საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე უარის თქმას, შესაბამისად, გასაჩივრების ფაქტებიც არ დაფიქსირებულა.

პეტრიძე თენგიზ

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი, მერის მ/შ



